ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3618917

ნომერი: AR1549123

თარიღი : 13.10.2017

გაცემის თარიღი : 17.10.2017

გაცნობის თარიღი : 18.10.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ფერდობი ნუცუბიძე , IV დაII მ/რ შორის , რთულ რელიეფზე , ნაკვ. N27 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ილია ხავთასი პ/ნ 01020010688
- თბილისი მ.მესხის ქ. N 26ა

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 17 დეკემბრის №3003183 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს (შემდგომში - სამსახური) 2017 წლის 13 ოქტომბრის №AR1549123 განცხადებით მომართა ილია ხავთასმა და მოითხოვა, ამავე

სამსახურის 2016 წლის 17 დეკემბრის №3003183 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 17 დეკემბრის №3003183 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში,ნუცუბიძის ფერდობზე , IV დაII მ/რ შორის , რთულ რელიეფზე , ნაკვ. N27, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.14.02.010.049), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 17 დეკემბრიდან 2017 წლის 17 დეკემბრის ჩათვლით.
ასევე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს ის, რომ სამსახურის 2017 წლის 25 სექტემბრის №3563953 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 17 დეკემბრის №3003183 ბრძანების ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა 1642,1 კვ.მ, საზაფხულო ფართობად დაფიქსირდა 429,7 კვ.მ, დახმარე ფართობად დაფიქსირდა 364,3 კვ.მ, საერთო ფართობად დაფიქსირდა 2796.8 კვ.მ.
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2016 წლის 17 დეკემბრის №3003183 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და განმარტავს, რომ საზაფხულო ფართობად ნაცვლად 429,7 კვ.მ-სა უნდა დაფიქსირდეს 432.7 კვ.მ, საერთო ფართობად ნაცვლად 2796.8 კვ.მ-სა უნდა დაფიქსირდეს 2799.8 კვ.მ.
განმცხადებელმა ასევე მოითხოვა სამსახურის 2016 წლის 17 დეკემბრის №3003183 ბრძანებით შეთანხმებული: მიწისპირა I სართულის (+0.00 ნიშნულის), II სართულის (+3.10 ნიშნულის), V სართულის (12.40 ნიშნულის), VI სართულის (15.50 ნიშნულის) და VII სართულის (18.60 ნიშნულის) საპროექტო გეგმების 2017 წლის 13 ოქტომბრის №AR1534686 განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი შესწორებული საპროექტო გეგმებით ჩანაცვლება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
სამსახურმა გამოიკვლია 2017 წლის 13 ოქტომბრის № AR1549123 განცხადებით წარმოდგენილი მოთხოვნა, შეადარა 2016 წლის 17 დეკემბრის №3003183 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს შესაბამისი ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 17 დეკემბრის №3003183 ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: საზაფხულო ფართობად დაფიქსირდეს 432.7 კვ.მ, საერთო ფართობად დაფიქსირდეს 2799.8 კვ.მ.
2. ჩანაცვლდეს: 2016 წლის 17 დეკემბრის №3003183 ბრძანებით შეთანხმებული მიწისპირა I სართულის (+0.00 ნიშნულის), II სართულის (+3.10 ნიშნულის), V სართულის (12.40 ნიშნულის), VI სართულის (15.50 ნიშნულის) და VII სართულის (18.60 ნიშნულის) საპროექტო გეგმები 2017 წლის 13 ოქტომბრის № AR1549123 განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი შესწორებული საპროექტო გეგმებით.
3. სამსახურის 2016 წლის 17 დეკემბრის №3003183 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 17 დეკემბრის №3003183 და 2017 წლის 25 სექტემბრის №3563953 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.